

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)  
6-7 June, 2014. Materials

## სტერეოტიპები დიდაქტიკური თვალთახედვიდან

მზექალა აჭაიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის დოქტორანტი

### ანოტაცია

სტატიაში ავტორი განიხილავს სტერეოტიპის ფენომენს, მის თვისებებსა და გამოყენებას, მიმართებას უცხო ენის ინტერკულტურულ სწავლებათან. სტერეოტიპების კვლევის მიმოხილვის ფონზე, ავტორი აანალიზებს უცხო ენის სწავლების ინტერკულტურულ მეთოდს, კერძოდ, თუ როგორ უნდა მოხდეს სტერეოტიპების დაძლევა უცხო ენის სწავლების პროცესში.

**საკვანძო სიტყვები:** სტერეოტიპი, ინტერკულტურული, სწავლება

### შესავალი

ინფორმაციის მასობრივი მოზღვაების, ქვეყნებს შორის სწრაფი და ახლო კონტაქტების ფონზე უცხო ენის სწავლება ახალი გამოწვევების წინაშე დგება. უცხო ცნება თავისთავად გულისხმობს შეუცნობელს, ახალს, შორეულს, ხოლო უცხო ენა - ასევე მშობლიური ენისგან განსხვავებული სამყაროა. ენის შემსწავლელისთვის უცხო ენის შესწავლასთან ერთად ახალი სამყარო იშლება, განსხვავებული კულტურით და ენობრივი სისტემით, სამყაროს განსხვავებული აღქმით. იგი ახდენს აღმოჩენებს და გამოცდილებას იძენს უცხო ენობრივ და კულტურულ გარემოში.

ენის შესწავლის ძირითადი მიზანი სწორი კომუნიკაციაა. იმისათვის, რომ სწორი კომუნიკაცია შედგეს უცხო კულტურის წარმომადგენლებს შორის, გასათვალისწინებელია სოციალური ინტერაქციის სხვადასხვა ელემენტი. კომუნიკაციური კონფლიქტები ხშირად არა ენობრივი კომპეტენციის ნაკლებობას უკავშირდება, არამედ გამოწვეულია კულტურული თავისებურებებით. განსხვავებული კულტურული ღირებულებებია ის წინააღმდეგობები, რომელებიც ასეთი სახის გაუგებრობებს უკავშირდება. ამ შემთხვევაში იჩენს თავს სტერეოტიპების ცნება. ხშირად გონებაში ჩაბეჭდილი მენტალური სურათებია ის განსხვავებული გარემოება, რომელიც მოსაუბრეს ავტომატურად და შეუგნებლად ინტერაქციის ასეთი ფორმით წარმართვისკენ უბიძგებს. სტერეოტიპების მარტივი და ნაცნობი ბუნებიდან გამოდინარე, ისინი ხშირად გამოიყენება ყოველდღიურ დიალოგებში და კომუნიკაციისას ძალისხმევის გარეშე შესაძლებელია ამა თუ იმ შეხედულების ფორმირება<sup>1</sup>.

<sup>1</sup> „Sie erlauben, Einstellungen ohne größere gesitige und kommunikative Anstrengungen zu formulieren“(Heinemann, 1998:7)

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)  
6-7 June, 2014. Materials

ჩემი ამ ნაშრომით მინდა მცირედი განმარტება მოვახდინო სტერეოტიპების თვისებებსა და გამოყენებაზე, მათ მიმართებაზე უცხო ენის ინტერკულტურულ სწავლებათან. შევეცდები სტერეოტიპების კვლევის მიმოხილვის ფონზე გავაკეთო ანალიზი უცხო ენის სწავლების ინტერკულტურულ მეთოდთან, თუ როგორ უნდა მოხდეს სტერეოტიპებთან გამკლავება და მათი სათანადო მიწოდება ენის შემსწავლელთათვის.

### კულტურის გამოხატულება ენაში

ყოველი ენა საზოგადოების კულტურული განვითარების შედეგია. მის გარეშე ადამიანის არსებობა წარმოუდგენელია და კომუნიკაციის უმნიშვნელოვანეს საშუალებას წარმოადგენს. ჰუმბოლტის განმარტებით ენა ადამიანის ის მხარეა, საიდანაც მისი სულიერი ძლიერება გამოსჭვივის<sup>2</sup> (ჰუმბოლდტი, 1949:17). იგი განაგრძობს ენის რაობის დახასიათებას და აღნიშნავს, რომ ენა და ხალხის სულიერება განუყოფელი ნაწილებია, რომლებიც ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ (ჰუმბოლდტი, 1949:41)<sup>3</sup>.

ჰუმბოლდტის ნააზრევს იზიარებს თანამედროვე მეცნიერება და მრავალი შრომა ეძღვნება ენისა და კულტურის ურთიერთმიმართებას.

მეტცლერის ენის ლექსიკონის განმარტებით (გლუკი, 2010: 377) კულტურის ცნების ქვეშ მოიაზრება ადამიანის მიერ შექმნილი ერთიანობა მატერიალური, სოციალური და იდეური შემოქმედების. თითოეული ჩვენთაგანი, როდესაც ენისა და კულტურის დამოკიდებულებას აკვირდება, რწმუნდება, რომ კულტურული ასპექტები ენაში მრავალნაირად გამოიხატება - ძირითადად პრაგმატიკაში, სემანტიკასა და ასევე გრამატიკაში. სწორედ ესაა, რაც ართულებს ერთმანეთთან კომუნიკაციას, არა მარტო სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის, არამედ ერთი კულტურის შიგნითაც. უამრავი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა ართულების გაგების პროცესს. ამ პროცესების გაიოლებისთვის არსებობს მრავალი მცდელობა ენობრივი სტანდარტიზაციის: ენობრივი ნორმები, რეგისტრი, ფორმულები და ა. შ. ერთი კულტურის შიგნით ხერხდება ასეთი პრობლემების მოგვარება, მაგრამ ამ მრავალფეროვანი კულტურული მნიშვნელობების მიწოდება სხვა კულტურის წარმომადგენლებისთვის არაა ადვილი საქმე.

ერთ-ერთი მაგალითი კულტურული კონცეპტის გავლენის ენის პროდუქციაზე გახლავთ გერმანულში მიმართვის ფორმები (შენ, შენი, თქვენ, თქვენი.../Du, Deine vs. Ihr/Euch, Sie, Ihr, Ihre...). მიუხედავად იმისა, რომ ეს ფორმები ადვილად დასასწავლია, მაინც ყოყმანობენ მის გამოყენებაზე გერმანულად უკვე კარგად მოსაუბრენიც. სასურველია ახსნილი იქნას ეს ფორმები როგორც ფორმალური და არაფორმალური მიმართვის ფორმები, ამოსავალი ენის კონცეპტიდან გამომდინარე, რომ უფრო გაუადვილდეთ აღქმა ენის შემსწავლელებს.

<sup>2</sup> „Die Sprache ist eine der Seiten, von welchen aus die allgemeine menschliche Geisteskraft in beständig taetige Wirksamkeit tritt“. (W. Humboldt. 1949. S. 17).

<sup>3</sup> „Die Sprache ist gleichsam die äußerliche Erscheinung des Geistes der Völker; ihre Sprache ist ihr Geist und ihr Geist ihre Sprache, man kann sich beide nie identisch genug denken.“(Wilhelm von Humboldt. 1949. S. 41)

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)  
6-7 June, 2014. Materials

ენობრივი სტრუქტურების გარდა, ვხვდებით კომუნიკაციის არავერბალურ საშუალებებს როგორცაა ქესტიკა, მიმიკა, სხეულის ენა. არავერბალური ქცევის საშუალებები ძირითადად კომუნიკაციის გასაიოლებლად გამოიყენება, რათა შეამსუბუქოს ინტერაქცია. მაგრამ ხშირად ასეთი არავერბალური ქცევები საგონებელში გვაგდებს. მაგ., როდესაც თანხმობაზე თავის გაქნევა ხდება და უარზე თავის დაქნევა (როგორც ბულგარეთში და რუმინეთშია მიღებული), ეს ჩვენი კულტურისთვის უცხოა და შეცდომით ინტერპრეტაციის საშიშროებას ქმნის. ასევე სხვადასხვა კულტურაში დროის აღქმა განსხვავებულია. როდესაც ზუსტი დრო არაა დაცული, ვადის გადაცილება ხდება, შესაძლებელია ეს გახდეს შეცდომითი ინტერპრეტაციის საბაზი. მაგ. სტუმრად მისვლა სხვადასხვა ქვეყანაში ან შეხვედრის დროის დათქმა განსხვავებული ინტერპრეტაციით აღიქმება. მიუხედავად იმისა, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება არავერბალური კომუნიკაციის საშუალებებს, მათ ნაკლებად განიხილავენ უცხო ენის გაკვეთილზე. ეს ყველაფერი იმ ღრმა კულტურულ თავისებურებებსა და ღირებულებებზეა შეფუთული, რომელსაც გარეგნულად ვერ ვხედავთ, მაგრამ გარკვეულ კონტექსტში იჩენს თავს. სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად იყენებენ აისბერგის მოდელს სპეციფიურ - კულტურული შეხედულებების და ღირებულებების თვალსაჩინოებისთვის (ასევე გავრცელებულია მთვარის ხატება, მისი ხილული და დაფარული მხარეებით და ღირებულებებით - პორტერ/სამოვარი 1993:13).



სურათი 2. კრემერი/კვაპე 2006 /Quelle: Krämer/Quappe 2006

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)  
6-7 June, 2014. Materials

აისბერგის მოდელის მიხედვით ზედაპირზე ხილულია მხოლოდ კულტურული ასპექტების ნაწილი - ენა, მუსიკა, ლიტერატურა, საკვები, ტანსაცმელი, ლიტერატურა, სიმბოლოების, წესების ნაწილი, ანუ ის მხარე, რომელსაც გარეგნულად ვხედავთ და აღვიქვამთ. ხოლო ძირითადი ნაწილი ღირებულებების, შეხედულებების, განწყობების, მოლოდინის, გრძნობების - დაფარულია წყლით, ის აისბერგის ქვედა უხილავ ნაწილს წარმოადგენს. ამ სურათიდან თვალსაჩინოა, რომ არახილულ კულტურულ-სპეციფიკურ შეხედულებებსა და ღირებულებებს პირდაპირი გავლენის მოხდენა შეუძლია ენაზე, მის რეალიზაციაზე და არცთუ ადვილია მისი სწავლება. გასათვალისწინებელია ის თემატიკა, რომელსაც განვიხილავთ უცხო ენის გაკვეთილზე, რისი ტაბუიზირება ხდება კონკრეტულ კულტურულ გარემოში და რისი მიწოდება. ეს მნიშვნელოვანი ასპექტია ინტერკულტურული უცხო ენის გაკვეთილის დაგეგმვისთვის.

ისმის კითხვა, თუ როგორაა შესაძლებელი კულტურული განსხვავებების სისტემატიზირება და ახსნა? მეცნიერების ნაწილს (Trompenaars 1993; Brake et al. 1992, Szalay and Fisher 1987) მიაჩნია, რომ საჭიროა უნივერსალური კულტურული მახასიათებლების შეკრება, რომელზეც აიღებს ორიენტციას სხვა კულტურის წარმომადგენელი. ესენია: ბუნება, დრო, ქცევა, კომუნიკაცია, სივრცე, ძალაუფლება, ინდივიდუალიზმი, კონკურენტუნარიანობა, სტრუქტურა და ფორმალური მხარე (Brake et al. 1992). ეს მახასიათებლები შედარებით გაზომვადია და შესაძლებელია ძირითადი კულტურული ღირებულებების აღქმა და იდენტიფიცირება უცხო კულტურის წარმომადგენლისთვის.

ენობრივი სისტემები კულტურული ნიშან-თვისებების კომპლექსური გამოხატულებანია. ისინი ადვილი აღსაქმელი არაა. ყველა მათგანი, ვისაც კი შეხება აქვს უცხო ენასთან (თარჯიმნები, მთარგმნელები, მასწავლებლები...) დაადასტურებენ, რომ ენის ფლობა, ეს მხოლოდ სიტყვების და წინადადების კომბინაცია არაა, არამედ ეს კულტურული და გრამატიკული თვისებების და თავისებურებების კორექტულად ფლობაა.

### გზა ინტერკულტურული კომუნიკაციისკენ

80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში წარმოშობილმა ინტერკულტურულმა მიმართულებებამ ენის სწავლების მეთოდიკა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. ამ მიმართულების ამოსავალი წერტილი არის კულტურა. ენის სწავლებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სამიზნე ენის მატარებლების კულტურული იდენტობა. კრამიში განმარტავს (2000:181), რომ ინტერკულტურული კომპეტენციის შექმნა უცხო ენის შესწავლისთვის აუცილებელი უნარია.

შესაბამისად, ახალი რეალიების გათვალისწინებით უცხო ენის სწავლებაში თანამედროვე ინტერკულტურული მეთოდი ინერგება. „ინტერკულტურული კომპეტენცია“, რომელიც ინტერკულტურული სწავლების ძირითად მიზანს წარმოადგენს, საკვანძო ცნება ხდება არა მხოლოდ უცხო ენის გაკვეთილისთვის.

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)  
6-7 June, 2014. Materials

ინტერკულტურული კომპეტენციის ცნება მჭიდროდაა დაკავშირებული სოციოლოგიასთან, ლინგვისტიკასა და ანთროპოლოგიასთან. უცხო ენის სწავლებასთან მიმართებაში იგი გულისხმობს ქვეყანათმცოდნეობისა და ენის კომპეტენციის გარდა ასევე ფაქტობრივ ცოდნას ქვეყნის და კომუნიკაციის დაუწერელი წესებისა, რომელიც ამა თუ იმ სამიზნე ენის კულტურას გააჩნია. ინტერკულტურული კომპეტენციაა ის უნარი, რომელიც ინტერკულტურულ გაუგებრობებსა და გაუკვევლობებს თავიდან აგვარიდებს და უპრობლემო გარემოს ქმნის სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციისას.<sup>4</sup>

ინტერკულტურული კომუნიკაცია - მოდური ტერმინია არა მარტო უცხო ენის შესწავლის დიდაქტიკაში. იგი გამოიყენება სხვადასხვა დარგსა და სფეროში და მისი მიზანია კულტურათშორისი დიალოგის უპრობლემოდ და კორექტულად წარმატვა. ინტერკულტურული კომპეტენციის ცნება გულისხმობს უცხო ენის შემსწავლელის უნარს, მოახდინოს საკუთარი და უცხო კულტურის დიფერენციაცია, შეძლოს ამის ამოცნობა კონკრეტულ სიტუაციებში და თანაგრძნობით და მოფრთხილებით მოეკიდოს უცხო კულტურას. ეს ნიშნავს, რომ გაუგებრობები იქნას თავიდან აცილებული, წარმოშობილი გართულებები გამოსწორდეს და კომუნიკაცია უპრობლემოდ წარიმართოს.

უცხო ენის სწავლებისთვის იგი გულისხმობს:

- უცხოსადმი გაზრდილ მგრძნობელობას
- ტაქტს ინტერკულტურული ურთიერთობისას
- საკუთარის და უცხოს პერსპექტივის განსაზღვრას
- ტოლერანტობას როგორც ინტერკულტურული ასევე ინტრაკულტურული /მულტიკულტურული სფეროსადმი (ფოლკმანი და სხვ. 2002:14).

უცხო ენის დიდაქტიკაში ინტერკულტურული კომპეტენციის საფუძვლებია ქვეყანათმცოდნეობა და უცხო ენის სრულყოფილი ფლობა. ქვეყანათმცოდნეობის საგანი სამწუხაროდ უნივერსიტეტში ცალკე საგნად არ ისწავლება და ვერ ჩამოყალიბდა სერიოზულ სამეცნიერო დარგად. ამ ეტაპზე მას დამატებითი ინფორმაციის მიწოდების ფუნქცია აქვს. თუმცა ის ტრადიციული კულტურული ცოდნა, რომელიც ქვეყანათმცოდნეობის საგნის კურიკულუმს წარმოადგენს შემდეგნაირად გამოიყურება:

- ენა და ლიტერატურა
- ისტორია
- ქვეყნის წესები
- ხელოვნება
- მეცნიერება
- ეკონომიკა
- საზოგადოების სოციალური ორგანიზება (ეთნიკური უმცირესობები...)

<sup>4</sup> „Interkulturelle Kommunikation“ ist [...] die interpersonale Interaktion zwischen den Angehörigen verschiedener Gruppen, die sich im Blick auf die ihren Mitgliedern jeweils gemeinsamen Wissensbestände und sprachlichen Formen symbolischen Handelns unterscheiden „ Knapp/Knapp-Potthoff 1990:66

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)  
6-7 June, 2014. Materials

- პოლიტიკური ორგანიზაციები და ინსტიტუტები
- სამართლებრივი სისტემა
- რელიგია
- გეოგრაფია, რეგიონები (კლანი, 1992:58)

ქვეყანათმცოდნეობის კურიკულუმი ტრადიციული სახიდან ინტერკულტურულ კომპეტენციაზე მორგებული გახდა და შესაბამისად მისი ათვისება მოითხოვს შესაბამის ენის ცოდნის რესურსს.

ინტერკულტურული მეთოდის გაძლიერებას, ინტერკულტურული კომპეტენციის შექმნას, უცხო სურათის და პერსპექტივის ცვლილებებს ეძღვნება გისენის სკოლის წარმომადგენელთა შრომები (ნიუნინგი 2001; ბრედელა/კრსიტი/ლეგუტკე 2000; ბრედელა/მაისნერი/ნიუნინგი/როსლერი 2000), რომლებიც მიუთითებენ ამ მეთოდის უპირატესობაზე და მოქნილობაზე, რომელიც მორგებულია თანამედროვე მოთხოვნებს. თუმცა, ამასთან ერთად გამოჩნდა სკეპტიკოსთა ნაშრომები „ინტერკულტურული ეიფორიის წინააღმდეგ“ (ინეზ დე ფლორიო-ჰანსენ 1994; ჰუნფელდი 1991). ჰუნფელდს მიაჩნია, რომ უცხო ენის გაუმჯობესებათან ერთად იზრდება საშიშროება ინტერკულტურული შეცდომების და გაუგებრობების (ჰუნფელდი 1989:71)<sup>5</sup>. ჰანს ჰუნფელდი თავისი ცნობილი გამონათქვამით „უცხო ნორმალურობა“ (1991) მიანიშნებს ინტერკულტურული კომპეტენციის ფილოსოფიურ-ანტროპოლოგიურ მიმართულებაზე, მიუთითებს ინტერკულტურული კომპეტენციის შექმნის აუცილებლობა და სირთულეებზე. მისი აზრით, ის ვინც უცხო ენაზე გაჭირვებით საუბრობს, მისგან კომუნიკაციური სირთულეები არაა ცუდად მისაღები, ხოლო კარგად მოსაუბრისგან კულტურული შეუსაბამოებები აღარაა მისაღები. მისი აზრით, უცხო ენის გაუმჯობესებათან ერთად იზრდება ინტერკულტურულ გაუგებრობათა რიცხვი.

90-იან წლებში არსებული კრიტიკა ინტერკულტურული კომპეტენციის შესახებ ბოლო წლებში გაქარწყლდა მრავალი შრომის და პუბლიკაციის საფუძველზე. უმეტესწილად ახალი პუბლიკაციები ინტერკულტურული კომუნიკაციის სფეროში გლობალიზაციის და ევროპეიზაციის ტენდენციებითაა გაჯერებული, ისევე როგორც მოთხოვნები, თუ რომელი ახალი მედია-საშუალება უნდა იქნას შეტანილი უცხო ენის გაკვეთილზე.

გისენის სკოლის შრომები იძლევა არა მარტო თეორიულ საფუძველს უცხო გაგების<sup>6</sup>, არამდე მათში მოცემულია მიდგომები ლიტერატურის მეშვეობით ინტერკულტურული კომპეტენციის შექმნის. ლიტერატურული ტექსტების მეშვეობით შესაძლებელია დაახლოება უცხო კულტურის მენტალიტეტთან და მისი აღქმის

<sup>5</sup> „Beherrscht aber einer die Fremdsprache so, dass ein problemloses Gespräch sich entwickeln kann, so wächst die Gefahr der Missverständnisse. Die flüssige Sprache täuscht Einverständnisse vor, die in Wahrheit nicht gegeben sind: Sie signalisiert Verstehen der jeweils fremden Kultur und Welthaltungen und verletzt subtile Konventionen und Tabus um so deutlicher, wenn die offensichtliche Sprachbeherrschung mehr verspricht als das eigentliche Verstehen des Fremden leisten kann“ (Hunfeld 1989:71)

<sup>6</sup> Fremdverstehen

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)  
6-7 June, 2014. Materials

გაადვილება, მრავალი საჭირობო საკითხის, თემატიკის წამოწევა და მასზე დისკუსია. ბრედელას მიაჩნია, რომ იმისათვის რომ უცხო კულტურა თავისი განსხვავებულობით გავიგოთ, აუცილებელია შიდა და გარე პერსპექტივების გათვალისწინება და ინტერკულტურული გაგების რეფლექტირება<sup>7</sup>.

უცხო კულტურაზე დაკვირვებისას თავისთავად ხდება რეფლექტირება საკუთარზეც. აქვე შეიძლება დაისვას კითხვა, როგორ აღიქმება საკუთარი კულტურა უცხოგან და რა დოზით შეიძლება ეს პროცესები იმართებოდეს სტერეოტიპების და კლიშეების ზეგავლენით.

### სტერეოტიპების ცნების განმარტება

ცნება სტერეოტიპი ორი ბერძნული სიტყვისაგან *stereos* (მყარი, მაგარი) და *typos* (ფორმა, მოდელი, სახე) შედგება და *მყარი ნიმუშის* მნიშვნელობით გამოიყენა ჯერ კიდევ 1798 წელს ფრანგმა გამომცემელმა დიდერომ (Diderot). ამ ტერმინით<sup>8</sup>, აღინიშნებოდა ახალი მეთოდი ბეჭდვით საქმეში, რომლის დროსაც სტერეოტიპის ფირფიტები გამოიყენებოდა<sup>9</sup> და ასახავდა მყარად ერთმანეთთან დაკავშირებულ საბეჭდ ნაწილებს (ბუსმანი/Bußmann 1990: 735). მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან კი სტერეოტიპებს ვხვდებით სხვადასხვა მეცნიერებებში (ფსიქოლოგიაში, მედიცინაში) „მსგავსი ფორმის, წინასწარი ნიმუშით განსაზღვრული სქემის, განმეორებითი ქცევის, შეზღუდული, სქემატური აზროვნების“ მნიშვნელობით (გერმანული უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1978: 448).

სტერეოტიპების აღწერის და დახასიათების მრავალი მცდელობა არსებობს ლიტერატურაში, ძირითადად ეს ტერმინი გამოხატავს რუტინირებულს, წინასწარ ფორმამიცემულ შეხედულებას, განწყობას, განაჩენს. სტერეოტიპები შეფასებისას ამბივალენტურია, სოციალურ ფსიქოლოგიაში მას სწორედ ამიტომ „არაკორექტულ გენერალიზებას“, ნეგატიურ კონოტაციას უწოდებენ (ალპორტი 1954, კატცი/ბრელი 1978), რომელსაც მიდრეკილება აქვს განზოგადებისა და აზრობრივი შაბლონის გადმოღებისაკენ. ლოშერმანი (1998:14) აკეთებს ლიტერატურაში სტერეოტიპების დახასიათებების რეზიუმირებას და მათ ძირითად ნიშან-თვისებებს ასე წარმოგვიდგენს, როგორც

- ზოგად გენერალიზებულ კატეგორიას
- ადამიანების ჯგუფზე მიმართულს
- შაბლონებს, რომელთაც სტაბილური და მყარი ხასიათი გააჩნიათ

<sup>7</sup> „Um die Fremde Kultur in Ihrer Andersheit zu verstehen, müssen wir einmal eine Innenperspektive einnehmen und das Selbstverständnis der Menschen der fremden Kultur rekonstruieren. Da aber Menschen sich über sich selbst täuschen können, müssen wir auch unsere Außenperspektive ins Spiel bringen. Die Innenperspektive ist notwendig, um den Ethnozentrismus zu überwinden, und die Außenperspektive ist notwendig, um sich nicht unkritisch der jeweiligen Innenperspektive anzuliefern. Ein reflektiertes interkulturelles Verstehen vollzieht sich, indem man die Spannungen zwischen Innen- und Außenperspektive entfaltet [...]“, Bredella 2001: 12

<sup>8</sup> Roth 2005:41

<sup>9</sup> Konrad 2006:14.

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)  
6-7 June, 2014. Materials

- ძირითადად ნეგატიური, მაგრამ ასევე ნეიტრალური და პოზიტიური ხასიათის მატარებელი
- კოგნიტიური და ემოციური ხასიათის მქონეთ
- არაკორექტულ და ირაციონალურს
- ქვეცნობირზე ზემოქმედების მქონეს

გერმანული უცხო ენათა ლექსიკონის მიხედვით განსხვავდება სტერეოტიპის შემდეგი სახეები: „აუტოსტერეოტიპი“ - რომელიც წარმოადგენს ადამიანთა ჯგუფის შეხედულებას თავის თავზე და „ჰეტეროსტერეოტიპი“ - შეხედულება, რომელიც გააჩნია ადამიანთა ჯგუფს სხვა ჯგუფის შესახებ.<sup>10</sup>

სტერეოტიპების მკვლევარი უტა კვასტჰოფი (Uta M. Quasthoff) მათ შემდეგნაირად ახასიათებს: „სტერეოტიპი ვერბალური გამოხატულებაა სოციალურ ჯგუფზე ან თითოეული პიროვნებაზე მიმართული შეხედულების. მას განაჩენის ლოგიკური ფორმა აქვს, რომელიც გამარტივებულად და გენერალიზებული სახით ტენდენციურად აფასებს ადამიანთა ჯგუფის თვისებებს ან ქცევას.<sup>11</sup>

სტერეოტიპის ტერმინის გავრცელებას და სოციალურ მეცნიერებაში მის დამკვიდრებას ხელი შეუწყო 1922 წელს ამერიკელი ჟურნალისტის ვალტერ ლიპმანის მიერ გამოქვეყნებულმა შრომამ „საჯარო აზრი“ (Public Opinion). ლიპმანი ახასიათებს სტერეოტიპს, როგორც ყველაზე მყარ ფენომენს, რომელიც არანაირ კრიტიკას და აღზრდას არ ექვემდებარება.<sup>12</sup>

ლიპმანისეული სტერეოტიპები ის კონცეპტებია, რომლთა მეშვეობითაც ადამიანი სამყაროს აღიქვამს. სტერეოტიპები ცხოვრების ყველა სფეროზე მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობენ, ე.წ. „ცოდნა ყოველდღიურობის შესახებ“<sup>13</sup>(ვენცელი 1978:21) და შესაბამის გავლენას ახდენენ ადამიანთა შეხედულებებსა და ზროვნებაზე.

ლიპმანის ყველაზე დიდი დამსახურება ისაა, რომ მან თავისი არასამეცნიერო ხასიათის ნაშრომით სტერეოტიპის ცნება მეცნიერებაში დანერგა და სამეცნიერო კვლევების უზარმაზარი ტალღის შექმნას შეუწყო ხელი.

### სტერეოტიპები - ინტერკულტურული კომუნიკაციის შემადგენელი ნაწილი

<sup>10</sup> გერმანული უცხო სიტყვათა ლექსიკონი (Deutsches Fremdwörterbuch) 1978: 448

<sup>11</sup> „Ein Stereotyp ist der verbale Ausdruck einer auf soziale Gruppen oder einzelne Personen als deren Mitglieder Gerichteten Überzeugung. Es hat die logische Form eines Urteils, das in ungerechtfertigt vereinfachender und generalisierender Weise, mit emotional wertender Tendenz, einer Klasse von Personen bestimmte Eigenschaften oder Verhaltensweisen zu- oder abspricht. [...] Es zeichnet sich durch einen hohen Verbreitungsgrad innerhalb der kulturellen Bezugspersonen aus.“ (Quasthoff, 1989:39)

<sup>12</sup> „Nichts verhält sich der Erziehung und der Kritik gegenüber so unachgiebig wie das Stereotyp. Es prägt sich dem Augenschein bereits nach der Feststellung des Augenscheins auf“ (Lippmann, 1990:74)

<sup>13</sup> (Wenzel, A. 1978:21)



The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)  
6-7 June, 2014. Materials

ბარკოვსკის და კრუმის ლექსიკონის (Barkowski, Hans/ Krumm, Hans-Jürgen (Hrsg.)(2010): *Fachlexikon Deutsch als Fremd- und Zweitsprache.S.319-320*) მიხედვით სტერეოტიპი დიდაქტიკური თვალსაზრისით შემდეგი მნიშვნელობით იხმარება: 1.როგორც დახასიათება რუტინული, რომელიმე ჯგუფისთვის დამახასიათებელი ფორმალური ენობრივი გამოთქმა(მაგ. ფრაზეოლოგიზმი) 2. ინტრკულტურალიზმის კონტექსტში კი სტერეოტიპს ხშირად (Vorurteil) წინასწარი განაჩენის/შეფასების მნიშვნელობით იყენებენ. სტერეოტიპი სინამდვილის/რეალობის კოგნიტიური რეპრეზენტაციაა და როგორც ენობრივი ასევე არაენობრივი რეალობის აღქმაში დიდ როლს თამაშობს.

ყოველი ეროვნების ცნობიერებაში ეთნიკურ სტერეოტიპებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. ისინი ხალხებს შორის ემოციების და ურთიერთობების საზომ ერთგვარ ბარომეტრს წარმოადგენენ. სტერეოტიპები ძალიან ცვალებადია და ხშირად დამოკიდებულია იმ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სიტუაციაზე, რაც საზოგადოებაში არსებობს. აქედან გამომდინარე შესაძლებელია ისინი როგორც პოლიტიკური პროპაგანდის ასევე თავდაცვის ელემენტად გამოდგეს. მენტალურ სტერეოტიპებს თავისი გამოხატულება აქვთ ენაში და მათ ხშირად კულტურულ სტერეოტიპებს უწოდებენ. უცხო ენის შემსწავლელმა უნდა მოახერხოს კულტურული სტერეოტიპების ქვეტექსტების შეფასება და გააზრება, ამისათვის კი შესაბამისი შემზადებაა საჭირო, რომელიც უცხო ენის გაკვეთილის პრეროგატივად რჩება.

მაგალითისთვის გამოდგება გერმანელების და ქართველების კულტურული სტერეოტიპების შედარება. თუ გავითვალისწინებთ მათ განსხვავებულ გეოგრაფიულ, ისტორიულ, ენობრივ თუ კულტურულ გარემოს, არ უნდა იყოს გასაკვირი ის განსხვავებანი, რომლებიც თვალში საცემია. განსხვავებანი არავერბალურ ურთიერთობაშიც შეინიშნება, მაგ. მისალმების ფორმებში. საქართველოში მისაღებია მისალმებისას ნაცნობის გადაკოცნა (ერთხელ), როგორც ქალის, ასევე მამაკაცის. ამითი გამოიხატება სიახლოვე და ახლობლობა. თუ მისალმებისას ერთმანეთს არ კოცნიან, ეს ფორმალობის გამოხატულებაა და დისტანციაზე მიანიშნებს. გერმანიაში მისალმებისას ერთმანეთს ეხვევიან (ორჯერ), მაგრამ ლოყაზე არ კოცნიან, მხოლოდ ეხებიან. ეს ხდება მხოლოდ ახლო ნაცნობობისას.

ასევე განსხვავებულია სხეულით კონტაქტის ინტენსივობაც. საქართველოში საკმაოდ ახლოა სხეულით კონტაქტი (მაგ. მხარზე ხელის მოთათუნება, ხელის მოხვევა, ხელის გამოდება), ეს არ გულისხმობს ქვეტექსტს, მხოლოდ ახლობლობის გამოხატულებაა. თუმცა ასეთი სახის სხეულით სიახლოვე გერმანიაში შესაძლებელია არასწორი ინტერპრეტირებით იქნას აღქმული.

ასევე მიმართვის ფორმებისას საჭიროა განსხვავების ახსნა, რათა უხერხულ მომენტებს ავაცილოთ ენის შემსწავლელნი, როცა ისინი ამ ენობრივ გარემოში აღმოჩნდებიან. მაშინ, როდესაც საქართველოში ფორმალური მიმართვის ფორმაა ქალბატონო/ბატონო და სახელი (ქალბატონო თინა/ბატონო რამაზ), გერმანიაში აუცილებელია მიმართვა Frau/Herr გვარით (Frau Meier/Herr Schulz). საქართველოში პირდაპირი მიმართვისას გვარი ხშირად არ იხმარება, მხოლოდ ოფიციალური სიტუაციებისას გამოიყენება.

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)  
6-7 June, 2014. Materials

ასევე გასათვალისწინებელია მისალმების ვერბალური ფორმები: *დილა მშვიდობისა, დღე მშვიდობისა, საღამო მშვიდობისა, ღამე მშვიდობისა!* თითქმის ყველა მისალმების ფორმაში სიტყვა მშვიდობა გვხვდება. ესეც ისტორიულულად მომდინარეობს. საქართველო საუკუნეების განმავლობაში იყო საბრძოლო ვითარებაში, აწარმოებდა ომებს დამპყრობლებთან და თავისთავად მშვიდობა მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ცნება იყო, რომელმაც ასახვა ჰპოვა ენაში.

გერმანულში რეგიონალურად მისალმების განსხვავებულ ფორმებს ვხვდებით: მაგ. სამხრეთ გერმანიაში/ბავარიაში (სადაც კათოლიკრი რელიგია საკმაოდ გავრცელებულია) ვხვდებით მისალმებას *Gruß Gott!* (ღმერთი გესალმება). მისალმების ეს ფორმაც კულტურულ-რელიგიური ხასიათისაა. სწორედ ამიტომ აუცილებელია კულტურულ-სპეციფიური ასპექტების გათვალისწინება უცხო ენის შესწავლისას. ამის გათვალისწინებით, აუცილებელია კულტურათა შორის ურთიერთობის გაღრმავება ყველა დონეზე, რათა მოხდეს საზოგადოებრივი და კულტურული კონტაქტების მეშვეობით ინტერკულტურული დიალოგის წარმოება.

#### **დიდაქტიკური მიდგომა სტერეოტიპებისადმი უცხო ენის გაკვეთილზე**

80-იანი წლებიდან, ინტერკულტურული მეთოდის დაფუძნების შემდეგ, დიდაქტიკური საჭიროებიდან გამომდინარე მოიაზრება სტერეოტიპების გამოყენება უცხო ენის სწავლებისას. ერთი მხრივ, სტერეოტიპების გამოყენებამ და გააზრებამ უნდა მოახდინოს საკუთრის და უცხოს კრიტიკული რეფლექცია, რისი მეშვეობითაც უნდა მოხდეს სტერეოტიპის აღმოფხვრა. ხოლო მეორე მხრივ საშიშროება იქმნება იმისი, რომ სტერეოტიპის ასეთმა თემატიზირებამ ხელის არ შეუწყოს მის უფრო ჩამოყალიბებას.

კატცი და ბრელი (1933) პირველნი იყვნენ ვინც სტერეოტიპების კვლევა ემპირიულად განახორციელეს და ყოველთვის ხდება მათზე აპელირება, ისევე როგორც ლიპმანზე. ემპირიული დასკვნების საფუძველზე შესაძლებლობა ისახება სწორი ვარაუდის ჩამოყალიბების, უცხო ენის გაკვეთილის ტაქტიკის დაგეგმვის, აქცენტების დასმის, ასევე სტერეოტიპებით მუშაობის იმპულსების გააზრება, თუ როგორ უნდა გადაილახოს სტერეოტიპული ბარიერი ენის შემსწავლელებთან. ერთ-ერთი მიდგომა პლედირებს სამიზნე ენის ქვეყანაში მოგზაურობას სტერეოტიპების გასანეიტრალებლად. ეს შეიძლება სწორიც იყოს, მაგრამ შეიძლება მან პირიქით ახალი სტერეოტიპების ჩამოყალიბებას შეუწყოს ხელი, ეს არაა სტერეოტიპებთან ბრძოლის ჯადოსნური საშუალება. ვინთერის მიხედვით (ვინთერი, 1995:10) ასეთი სახის გამოცდილებამ შესაძლებელია წინასწარი შეხედულებების ნაწილობრივ შეცვლა, სტერეოტიპების შემცირება მოახდინოს, მაგრამ არა გაქრობა. არენდ-ჰერლინის (არენდ-ჰერლინი, 2001:43) აზრით კი, ინტენსიური კონტაქტი უცხო კულტურასთან კი არ აუმჯობესებს სიტუაციას, არამედ ამძაფრებს მის სტერეოტიპიზირებას.

უცხო ენის გაკვეთილმა საკუთარი იდენტობის უკეთ შეცნობას შეიძლება შეუწყოს ხელი. დიტჰელმ კნაუფისთვის ინტერკულტურული კომპეტენციაა, არა მარტო უცხო კულტურაში ორიენტირება, არამედ საკუთარისადმი დისტანცირება, საკუთარის გააზრება

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)  
6-7 June, 2014. Materials

(კნაუფი 1996: 44). იგი ხაზს უსვამს, რომ საკუთარი კულტურაც არაპემოგენურია, ისიც შეიცავს უცხოობის ელემენტებს. მის მსგავსად მაინერტ მაინერიც (1992) საუბრობს, უცხოს გაცნობისას საკუთარი კულტურული წარმოშობისადმი იდენტობის შენარჩუნებაზე<sup>14</sup>. ინტერკულტურულ უცხო ენის გაკვეთილზე ხდება ცოდნის მიღება და გაღრმავება, საკუთარი იდენტობის ცნების გაფართოება და ახალი პერსპექტივის ჩამოყალიბება.

პეტერ დოიეს (Peter Doyè) მიხედვით, ინტერკულტურულ უცხო ენის გაკვეთილზე სოლიდარობის, თანასწორობის, კრიტიკულობის და ტოლერანტულობის შემუშავება უნდა ხდებოდეს. კითხვაზე, როგორ უნდა განხორციელდეს ზოგადი აღზრდის პრინციპების უცხო ენის გაკვეთილზე გადაცემა, დოიე პასუხობს, რომ კულტურათმცოდნეობითი და კულტურული შინაარსების მქონე ტექსტებს არა მარტო ენის ცოდნის გადაცემის დატვირთვა აქვთ, არამედ შეიცავენ უამრავ ინფორმაციას, ისინი წარმოადგენენ საერთაშორისო ურთიერთგაგების მედიუმს<sup>15</sup> და მათზე დაყრდნობით უნდა მოხდეს ბევრი კულტურული ფრანგმენტის ახსნა და გააზრება.

ინტერკულტურულ კომპეტენციის კონცეპტს უცხო ენის გაკვეთილზე დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სტერეოტიპების შესწავლის და გაგების მიმართულებით. მას უნდა შევხედოთ როგორც უცხოს აღქმის და სტერეოტიპებთან ურთიერთობის მოსამზადებელ მეთოდს. აქედან გამომდინარე, ინტერკულტურული კომპეტენციის სასწავლო მიზნები შიდა და გარე პერსპექტივების კომპლექსურ ცვლილებას წარმოადგენს და ასე გამოიყურება:

- საკუთარი კულტურული იდენტობის ცოდნა
- ცოდნა „უცხო ჰეტერესტერეოტიპების“ - სხვა კულტურის წარმომადგენელნი როგორ აღიქვამენ საკუთარ თავს
- კონვენციონალური სტერეოტიპების ცოდნა, რომელიც სხვა კულტურის აღქმაში დაგვეხმარება
- იმ კონვენციონალური სტერეოტიპების ცოდნა, რომლებიც საკუთარი ქვეყნის სახეს/სურათს განსაზღვრავენ უცხო ქვეყანაში
- საკუთარი და უცხო ქვეყნების ჰეტერეოგენული სისტემის ცოდნა
- სხვა კულტურის სტანდარტების არა პირდაპირი გადმოტანა
- საკუთარ კულტურაში შეძენილი კომუნიკაციის სტრატეგიების გამოყენება
- უნარი, კულტურული ბარიერების შეგნებულად და კომპეტენტურად გადალახვის
- გაკვეთილზე კონფლიქტური სიტუაციების ან ელემენტების სიმულირება, საკიტხის უკეთ გარკვევის მიზნით<sup>16</sup>.


ფოლკმანის და სხვ.(2002:28) აზრით ინტერკულტურული კომუნიკაცია კომპლექსური ტერმინია, რომელიც შემდეგ ფაქტორებს ითვალისწინებს:

<sup>14</sup> „...mit sich und seiner Kulturellen Herkunft identisch zu bleiben“ (Meyer 1992:16)

<sup>15</sup> „Medium für internationale Verständigung“ (Doyè, P. 1991:12)

<sup>16</sup> Volkmann, L. et al. 2002: 23

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)  
6-7 June, 2014. Materials



თითოეულ ზემოთ დასახელებულ თემას (ურთიერთობები, რიტუალები, სამყაროს აღქმა და ა. შ.) სხვადასხვა კულტურაში განსხვავებული გამოხატულება აქვს. ინტერკულტურული კომპეტენციის კონცეპტი იმაში მდგომარეობს, რომ უცხო კულტურის წარმომადგენლები ამ ცვლებებისთვის მოამზადდნენ, შექმნას უპრებლემო კომუნიკაციის საშუალება განსხვავებების მიუხედავად, ტაქტიით და მოთმინებით განაწყოს უცხო სადმი. როგორც მასწავლებლისთვის ასე უცხო ენის შემსწავლელისთვის ითვლება, რომ ისინი საკუთარი კონცეპტის ორმაგ ცვლილებას განიცდიან. სწორედ ამის მიღწევასა საჭირო, რომ ინტერკულტურულ კომპეტენციაში შედეგს მივაღწიოთ.

ბრედელას, რომელიც გისენის სკოლის წარმომადგენელია, მიაჩნია (1999:114), რომ შიდა პერსპექტივის შექმნა უცხო ენის გაკვეთილის მიზანია, იმისათვის რომ უცხო ენა შევისწავლოთ, გაუგებრობები ამოვიცნოთ და მოვახერხოთ მათი თავიდან აცილება. გარე პერსპექტივით, რომელიც შიდას უკვე თავისთავად გულისხმობს, ტოლერანტობის, კრიტიკულობის, მეტაკომუნიკაციის გამომუშავება ხდება. ესაა ის აღმზრდელობითი მიზანი, რომელიც ინტერკულტურულ უცხო ენის გაკვეთილს გააჩნია. მას მიაჩნია, რომ ინტერკულტურული უცხო ენის გაკვეთილი არა მარტო კულტურულ ასპექტზე აკეთებს აქცენტს, არამედ შემსწავლელს აძლევს საშუალებას ინტერკულტურული მოქმედების. ესაა ის უნარი, რომლითაც ენის შემსწავლელი საკუთარი იდენტობის გათვალისწინებით უცხოთან იდენტიფიცირებას და დისტანცირებას ახერხებს.

სტერეოტიპებისადმი მიდგომას უცხო ენის გაკვეთილზე მრავალი შრომა ეძღვნება, განსხვავებულია თვათახედვები. ლოშმანის მიხედვით (1998:26), რაც არ უნდა

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)  
6-7 June, 2014. Materials

განსხვავებული იყოს მიდგომები, ძირითადი მეთოდი სტერეოტიპების გამოყენებისადმი მათი სენსიბილიზაციაა, ე. წ. აზროვნების გამოფხიზლება და უცხო ალქმისადმი სენსიტიურობის გაძლიერება. უნდა მოხდეს როგორც აუტოსტერეოტიპების ისე ჰეტეროსტერეოტიპების გააზრება, მათგან ასოცირებული წარმოდგენების და გრძნობების კრტიკულად და თვითკრიტიკულად რეფლექტირება და ცოდნად ჩამოყალიბება.

სტერეოტიპების ანალიზი, რომელიც დიდაქტიკურ-მეთოდურ პროცესს განსაზღვრავს, მიმართულია მათ ფუნქციებზე და მოტივაციაზე. უნდა მოიძებნოს გზები სტერეოტიპების ქმედითად განხილვის, რადგან ინტერკულტურული სწავლება კოგნიტიურ, აფექტურ და ქცევის დონეზე ხორციელდება.

შესაძლებელია მრავალი სახის დავალების შეთავაზება უცხო ენის გაკვეთილზე სტერეოტიპებთან ურთიერთობისას:

- ასოციაციური თამაშები (*მაგ. რა მოვლით გონებაში გერმანიის ხსენებაზე?*) ასოციოგრამის სახით. ასეთი სახის სავარჯიშოები იმდენადაა სასურველი, რამდენადაც ისინი პიროვნებებისა და საგნების, ცნებების შესახებ წარმოდგენებს ამჟღავნებს და შესაძლებელია მათით „მანიპულირება“.
- ნაცნობების, ოჯახის წევრების გამოცდილებების გაზიარება სამიზნე ენის ქვეყნის შესახებ და მისი განხილვა უცხო ენის გაკვეთილზე.
- ჯგუფური პროექტის განხორციელება სამიზნე ენის ქვეყნის შესახებ, მისი განხილვა და შეფასება.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, ლიტერატურული ტექსტების/საგაზეთო სტატიების/ლექსების შეტანა გაკვეთილზე, რომელთა მეშვეობით იმპლიციტური სტერეოტიპების მოძიება შეიძლება და მათი გააზრება და ალქმა, ფუნქციური მნიშვნელობის მინიჭება. ლიტერატურული ტექსტები დისკუსიის საუკეთესო საშუალებაა, რომელთა განხილვის დროსაც შეიძლება სტერეოტიპული ცნებების განხილვა და გაანალიზება, გააზრება.<sup>17</sup> გაკვეთილზე შესაძლებელია განხილული იქნას სხვადასხვა ლიტერატურული ტექსტი, სადაც სტერეოტიპებად პიროვნებები და ადამიანთა ჯგუფი, რომელიმე ეროვნების წარმომადგენელია წარმოდგენილი. მათი წაკითხვის შემდეგ ენის შემსწავლელს უყალიბდება ასოციაციები, წარმოდგენები და საუკეთესო საშუალებაა განსჯის და გააზრებისთვის. თავისთავად ლიტერატურული ტექსტები ესთეტიური სამყაროს ნაწილია და არ შეიძლება სრულად რეალურად სამყაროსთან გაიგივება. ტექსტები სტიმულია გაგების და ალქმის, მგრძნობელობის გასამძაფრებლად, რომელსაც მკითხველი იყენებს თავისი შეხედულებების ჩამოსაყალიბებლად, პერსპექტივის შესაქმნელად.

მიუხედავად იმისა, რომ სტერეოტიპების კვლევა და ინტერკულტურული კომუნიკაცია ხანგრძლივი დისკუსიის საგნებია, ამ მიმართულებით სამეცნიერო ლიტერატურა საკმაოდ მწირია და არათანმიმდევრული (ლოშმანი 2001: 149). ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გაკეთება, რომ სტერეოტიპები საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ ემოციური შეფერილობის სურათებია - ერთგვარი

<sup>17</sup> Löschmann u.a. 1998:31

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)  
6-7 June, 2014. Materials

განაჩენი. ისინი ითვლებიან სამყაროს აღქმის ორიენტირად, ინსტრუმენტად, რომლის გარეშეც ურთიერთობა გარე სამყაროსთან წარმოუდგენელი იქნებოდა. მათი სწორი და მართებული აღქმა მოითხოვს იმ კულტურული ფასეულობების ცოდნას, რომელიც შესაბამის ენას გააჩნია. ამ შემთხვევაში გამოწვევის წინაშე დგება უცხო ენის შესწავლის დიდაქტიკა, რომელიც ინტერკულტურულ კომპეტენციაზე დაყრდნობით ცდილობს შეიმუშავოს პრინციპები სტერეოტიპების სწორი მიწოდების. ჩემი აზრით, ეს სფერო არაა საკმარისად შესწავლილი და მოითხოვს ჩაღრმავებას და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას.

## Bibliographie

1. Aachen, Richard Baum (1979): *Sprache und Unterricht*. In: *Sprache in Unterricht und Forschung: Schwerpunkt Romanistik/Richard Baum...u.a.* (Hrsg.) S. 11-37. Narr. Tübingen.
2. Allport, Gordon (1954): *The Nature of Prejudice*. Beacon Press Boston Mass.
3. Altmayer, Claus/Mehlhorn, Grit/Neveling, Christiane/Schlüter, Norbert/Schramm, Karen (Hrsg.) (2010): *Grenzen überschreiten:sprachlich-fachlich-kulturell. Beiträge zur Fremdsprachenforschung Band 11*. Erlangen: Schneider Verlag.
4. Arendt-Herlin, Menno (2001): „Interkulturelle Kompetenz und TZI“ *Themenzentrierte Interaktion* 15/1, 42-51.
5. Barkowski, Hans/ Krumm, Hans-Jürgen (Hrsg.)(2010): *Fachlexikon Deutsch als Fremd- und Zweitsprache*. A. Francke Verlag. Tübingen/Basel.
6. Barkowski, Hans/Demmig, Silvia/Funk, Hermann/Würz, Ulrike (Hrsg.)(2011): *Deutsch bewegt. Entwicklungen in der Auslandsgermanistik und Deutsch als Fremd- und Zweitsprache*. Baltmannsweiler: Schneider Verlag.
7. Barlog, Cecilia(2011) : *Stereotype im interkulturellen Training*. In: *Linguistik anwenden*. Camilla Badstübner-Kazik (Hrsg.) S. 145-157. Lang. Frankfurt am Mein.
8. Bausch, Kar, Herl-Richard; Crist, Herbert; Krumm, Hans-Jürgen (Hrsg.)(1995): *Handbuch Fremdsprachenunterricht*. Tübingen/Basel: Francke.
9. Bausch, Karl-Richard/Burwitz-Melzer, Eva/Königs, Franck. G./Krumm, Hans-Jürgen (Hrsg.) (2011): *Fremdsprachen Lehren und lernen: Rück- und Ausblick*. Arbeitspapiere der 30. Frühjahrskonferenz zur Erforschung des Fremdsprachenunterrichts. Tübingen: Narr.
10. Bausch, Karl-Richard/Burwitz-Melzer, Eva/Königs, Franck. G./Krumm, Hans-Jürgen (Hrsg.) (2009): *Fremdsprachenunterricht im Spannungsfeld von Inhaltsorientierung und Kompetenzbestimmung*. Arbeitspapiere der 29. Frühjahrskonferenz zur Erforschung des Fremdsprachenunterrichts. Tübingen: Narr.
11. Bausch, Karl-Richard; Christ, Herbert; Krumm, Hans Jürgen (Hrsg.)(2007): *Handbuch Fremdsprachenunterricht*. 5. Aufl. Francke Verlag. Tübingen/Basel.
12. Brake, Terrence et al. (1992): *Doing Business Internationally*. Unit 2, Module A: *What is Culture?* Princeton: Princeton Training Press.
13. Bredella, Lothar (1999): *Zielsetzungen interkultureller Fremdsprachenunterrichts*. In: Bredella, Lothar/Delanoy, Werner (Hrsg.): *Interkultureller Fremdsprachenunterricht*. Tübingen: Gunter Narr. S. 85-121.

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)  
6-7 June, 2014. Materials

---

14. Bredella, Lothar (2001): „Zur Dialektik von Eigenem und Fremden beim interkulturellen Verstehen. *Der fremdsprachliche Unterricht Englisch* 35/53, 10-14.
15. Bredella, Lothar/Christ, Herbert/Legutke, Michael K. (Hrsg.)(2000): *Fremdverstehe zwischen Theorie und Praxis. Arbeiten aus den Gradueirten-Kolleg „Didaktik des Fremdverstehens“*. Tübingen: Narr.